*დანართი №1*

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნა

საფრენი აპარატების დაპროექტება და წარმოება, ბაკალავრიატი

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

დასკვნის წარდგენის თარიღი
27.05.2026
თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 206155328 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მამუკა ბენაშვილი, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო პატარაია, შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | საფრენი აპარატების დაპროექტება და წარმოება |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად) | Design and manufacture of aerial vehicles |
| უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მექანიკის ინჟინერიასა და ტექნოლოგიაში |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0715 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3] | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული, გადაწყვეტილება # 19<br>24.06.2016 |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | |
| დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა | |

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მომზადების მიზანია ინსტიტუციის მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იქნა 1, 2 და 4 სტანდარტი.
სტანდარტი 1 და სტანდარტი 2 სრულიად შესაბამისია, მოთხოვნებთან
სტანდარტი 4-ში გაცემულია ერთი რეკომენდაცია და ერთი რჩევა. სტანდარტი 4 მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან .

- **რეკომენდაციები**

  აუციელებელია, აკადემიური პერსონალის მხრიდან ფიქსირდებოდეს სამეცნიერო აქტივობები. ინსტიტუციას უნდა ჰქონდეს აკადემიური პერსონალის შეფასების მოქნილი მექანიზმები, რომლის მიხედვითაც აუციელებელი იქნება პერსონალის მხრიდან კონკრეტული პერიოდულობით, შესაბამისი სტატიების, მონოგრაფიების წარმოდგენა, თუ სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობების განხორციელება
- **რჩევები**

  სასურველია, რომ ინსტიტუციას ჰქონდეს CV-ების სტანდარტიზებული ფორმა, რომელშიც ყველა ინფორმაციის გადატანა იქნება აუცილებელი. პერსონალის მხრიდან წარმოდგენილი CV- ების ნაწილში, საერთოდ არ არის მითითებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მიღწევები და გამოქვეყნებული სტატიები

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად,**

  მაგალითად:

  - **პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები** - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;

საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 5 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი , 1 ასისტენტ-პროფესორი, 1 ასისტენტი და 19 მოწვეული სპეციალისტი. ყველა აკადემიური პერსონალი არის აფილირებული აკადემიური პერსონალი.

| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, | პროგრამაში ჩართული | მათ შორის, დარგობრივი | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით | მათ შორის აფილირებული |
|---|---|---|---|---|

| სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი) | პერსონალის რაოდენობა | მიმართულებით პერსონალი[4] | დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[5] | აკადემიური პერსონალი |
|---|---|---|---|---|
| სულ აკადემიური პერსონალი | 14 | 13 | 13 | 14 |
| - პროფესორი | 5 | 5 | 5 | 5 |
| - ასოცირებული პროფესორი | 7 | 6 | 6 | 7 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 1 | 1 | 1 | 1 |
| - ასისტენტი | 1 | 1 | | 1 |
| მოწვეული პერსონალი | 19 | 8 | 1 | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | | | | _ |
| მათ შორის, საერთაშორისო პერსონალი | | | | |

- **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერეცნიებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

- **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი** (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

- **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;

- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[6]

---

[4] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[5] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

[6] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა „საფრენი აპარატების დაპროექტებისა და წარმოების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნის პროექტი სრულად გაიზიარა.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

## III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| | სტანდარტი | შეფასება |
|---|---|---|
| **1.** | **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** | შესაბამისობაშია |
| 1.1 | პროგრამის მიზნები | შესაბამისობაშია |
| 1.2 | პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისობაშია |
| 1.3 | პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შესაბამისობაშია |
| 1.4 | საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | შესაბამისობაშია |
| 1.5 | სასწავლო კურსი/საგანი | შესაბამისობაშია |
| **2.** | **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** | შესაბამისობაშია |
| 2.1 | პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | შესაბამისობაშია |
| 2.2 | პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | შესაბამისობაშია |
| 2.3 | სწავლება-სწავლის მეთოდები | შესაბამისობაშია |
| 2.4 | სტუდენტების შეფასება | შესაბამისობაშია |
| **3.** | **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა** | არ შეფასდა |
| 3.1 | სტუდენტთა  საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | არ შეფასდა |
| 3.2 | მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა | არ შეფასდა |
| **4** | **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა** | არ შეფასდა |
| 4.1 | ადამიანური რესურსი | მეტწილად შესაბამისობაშია |
| 4.2 | მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | არ შეფასდა |
| 4.3 | აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | არ შეფასდა |
| 4.4 | მატერიალური რესურსი | შესაბამისობაშია |
| 4.5 | პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | არ შეფასდა |
| **5** | **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** | არ შეფასდა |
| 5.1 | შიდა ხარისხის შეფასება | არ შეფასდა |
| 5.2 | გარე ხარისხის შეფასება | არ შეფასდა |
| 5.3 | პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | არ შეფასდა |

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები]
[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო]
[რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე]
[შეფასების კრიტერიუმები]

განმარტებები:

**რეკომენდაციები -** წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები -** არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამის - საფრენი აპარატების დაპროექტება თანხვედრაშია საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მისიასთან. პროგრამის მიზნებია

- საავიაციო სფეროს ფართო ცოდნის შეძენა, რომელიც სტუდენტს საშუალებას მისცემს დაეუფლოს საფრენი აპარატების დაპროექტების და წარმოების პრაქტიკულ საქმიანობას;
- შეძენილი ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით გამყარება; თეორიული ცოდნისა და ტრანსფერული უნარების, საფრენი აპარატების დაპროექტების და წარმოების ტექნოლოგიების დინამიურ და სწრაფად ცვლად გარემოში ორიენტირება;
- მოვლენათა კომპლექსური ხედვის, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დარგობრივი კომპეტენციების ჩამოყალიბება, პროცესების ობიექტური შეფასების უნარ-ჩვევათა ფორმირება;
- შრომის ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც მიეცემათ იმ თანამდებობებზე მუშაობის შესაძლებლობა, სადაც საჭიროა ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მექანიკის ინჟინერიასა და ტექნოლოგიაში

მიზნები, ითვალისწინებს ადგილობრივი საერთაშორისო შრომის ბაზრების მოთხოვნებს, ასევე სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს შესაბამისი პროგრამა და რა წვლილი შეაქვთ მათ სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრა - საფრენი აპარატების დაპროექტება და წარმოება
- თვითსეფასების ანგარიში

[რეკომენდაციები](#)

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|---|---|
| 1.1 პროგრამის მიზნები | შესაბამისობაშია |

### 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის „საფრენი აპარატების დაპროექტება და წარმოება" სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამის დონეს, მექანიკა და ლითონის საქმის დეტალური სფეროს აღმწერს და შესაბამის მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

პროგრამას აქვს 9 სწავლის შედეგი:

- აღწერს ზოგადსაინჟინრო სასწავლო კურსების ძირითადი ცნებებს და მეთოდებს;
- აცნობიერებს საავიაციო მრეწველობის ობიექტებისადმი და საფრენი აპარატებისადმი წაყენებული ძირითად მოთხოვნებს;
- ადგენს საფრენი აპარატების კონსტრუქციების, სისტემების, დეტალების, კვანძების, ნაკვეთურების დამზადების და აწყობის პროცესების ორგანიზების წესებს;
- განსაზღვრავს გაზომვების ტექნიკური საშუალებების, მათი მეტროლოგიური მახასიათებლების, თანამედროვე ელექტრო-ტექნიკური და ელექტრონული საავიაციო მოწყობილობების ძირითადი სახეებს და მახასიათებლებს
- ახორციელებს საფრენი აპარატების და მათი სისტემების პროექტების დამუშავებას, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებას და წარმართვას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- ახორციელებს ტექნოლოგიური აღჭურვილობის, მეტროლოგიური სისტემების დაკომპლექტებას, გამართვას და სამუშაოდ მომზადებას;
- ასრულებს საფრენი აპარატის და მისი ფუნქციური სისტემების მიწისზედა და საფრენოსნო გამოცდების მოსამზადებლად კომპლექსურ სამუშაოებს.
- ავლენს ისეთ ღირებულებებს, როგორიცა: მაღალი პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობის გრძნობა, სიზუსტე, შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის,

საწარმოო სანიტარიისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვა;
- მონაწილეობას იღებს კომპლექსურ და არაპროგნოზირებად გარემოში საფრენი აპარატების დაპროექტებისა და კონსტრუირების პროცესში წამოჭრილი სპეციფიკური პრობლემების გადაწყვეტაში.

პროგრამების სწავლის შედეგებსა და პროგრამის მიზნებს შორის არის ლოგიკური კავშირი, პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს სწავლის სფეროს თავისებურებებს - ცოდნა, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს შესაბამისი პროგრამის დასრულებისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრა - საფრენი აპარატების დაპროექტება და წარმოება
- თვითსეფასების ანგარიში

- რეკომენდაციები
- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|---|---|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისობასია |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები დაკავშირებულია სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან. სასწავლო კურსი სწავლის შედეგები გაწერილია სილაბუსებში, სადაც ყოველი სწავლის შედეგისთვის შერჩეულია შესაბამისი შეფასების მეთოდი. შერჩეული შეფასების მეთოდი გულისხმობს ცოდნის შემოწმების ისეთი ტექნიკების გამოყენებას, რომლებიც რელევანტური და ადეკვატურია ამა თუ იმ სასწავლო კურსით გათვალისწინებული კონკრეტული სწავლის შედეგის სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების დაგეგმვა ხდება ლექტორის და პროგრამაში ჩართული აკადემიური/ადმინისტრაციული თანამშრომლების მიერ.
„საფრენი აპარატების დაპროექტებისა და წარმოების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის და მისი თანდართული სილაბუსების სწავლის შედეგები ფორმულირებულია ახლანდელ დროში აქტიური ფორმის ზმნების გამოყენებით

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- 
- საგანმანათლებლო პროგრა - საფრენი აპარატების დაპროექტება და წარმოება
- თვითსეფასების ანგარიში
- სილაბუსები

- რეკომენდაციები
- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|---|---|
| 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შესაბამისობაშია |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის დასახელება და კვალიფიკაციის კოდი, შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორს. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებად ფიქსირდება საფრენი აპარატების დაპროექტება და წარმოება, ხოლო კვალიფიკაციის დასახელებად ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მექანიკის ინჟინერიასა და ტექნოლოგიაში. დეტალური სფეროს კოდი 0715.

პროგრამის შინაარსი შეესაბამება საბაკალავრო საფეხურისთვის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ მოთხოვნებს. მისი მოცულობაა 240 კრედიტი. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამას ახლავს სწავლის შედეგების რუკა.

საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნების შესასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი. აქედან:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 182 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები - 6 კრედიტი;
- თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები - 21 კრედიტი;
- თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები - 31 კრედიტი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სწავლის სფეროების კლასიფიკატორი
- საბაკალავრო პროგრამა
- საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები

რეკომენდაციები

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|---|---|
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | შესაბამისობაშია |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საფრენი აპარატების დაპროექტების და წარმოების საბაკალავრო პროგრამისათვის წარმოდგენილია სასწავლო კურსის სილაბუსები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას კრედიტების რაოდენობაზე, სტუდენტთა შეფასების წესზე და ა.შ. სილაბუსში მითითებულია სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი სასწავლო მასალები და სხვა ისეთი ინფორმაციები, რომელიც აუცილებელია სტუდენტისათვის. სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|---|---|
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | შესაბამისობაშია |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

## 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საფრენი აპარატების დაპროექტების და წარმოების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
საფრენი აპარატების დაპროექტების და წარმოების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული სახელმწიფო დოკუმენტის მქონე პირს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.
ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე. პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება ასევე შესაძლებელია მობილობის ან შიდა მობილობის გზით საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი წესების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
იმ პირთათვის, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების ან საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში საჭიროა განათლების აღიარების დოკუმენტი

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრა - საფრენი აპარატების დაპროექტება და წარმოება

- რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|---|---|
| | |

| | |
|---|---|
| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | შესაბამისობაშია |

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საბაკალავრო პროგრამა „საფრენი აპარატების დაპროექტება და წარმოება" სწავლის შედეგებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამები პრაქტიკული უნარების განვითარებისკენაა მიმართული. სწავლების დიდი ნაწილი პრაქტიკულ სწავლებას მოიცავს. მნიშვნელოვანია, სტუდენტებმა, თეორიულ ცოდნის მიღებასთან ერთად, ამ ცოდნის პრაქტიკაში ასახვა და რეალურ ცხოვრებაში გამოყენება შეძლონ. ეს ყოველივე კი ხელის შემწყობი ფაქტორია წარმატებით დასაქმებისა და კარიერულ ზრდის. სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებულია სწავლების პრაქტიკული კომპონენტები, რაც ძირითადად ლაბორატორიული, სემინარებისა და პრაქტიკულ მეცადინეობების ფორმატში აისახება. ამ მხრივ აღსანიშნავია საგნების ფარგლებში ჩატარებული შემდეგი აქტივობები: ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობები, დისკუსიები და დებატები, პროექტები, გუნდური მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ანალიზის მეთოდი, ვერბალური მეთოდი და სხვა. ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდის ფარგლებში სტუდენტებს უწევთ საკუთარი მოსაზრებების პრეზენტირება აუდიტორიისთვის, რაც უბიძგებს სტუდენტს მოძიებული ინფორმაციის დამუშავებასა და თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გაანალიზებაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრა - საფრენი აპარატების დაპროექტება და წარმოება

**რეკომენდაციები**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|---|---|
| 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | შესაბამისობაშია |

## 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდები.

**დისკუსია/დებატები** – სტუდენტებს საშუალება ეძლევათ აქტიურად გამოხატონ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი აზრი, ინტენსიურად ჩაერთონ დისკუსიაში და განახორციელონ საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირებული დაცვა.

**ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - არის სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

შემთხვევების შესწავლა (Case Study) - ლექტორი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს.

**გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

